ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6758148

ნომერი: AR11000197

თარიღი : 12.11.2023

გაცემის თარიღი : 14.11.2023

გაცნობის თარიღი : 14.11.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ტაბახმელა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ზაგაშვილი პ/ნ 01008024106
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 25 კორ. 6 ბ. 134

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 12 ნოემბერს №AR11000197 განცხადებით მომართა ალექსანდრე ზაგაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 08

ნოემბრის №6731014 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანებით შეთანხმდა №01.81.02.258.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 08 ნოემბრიდან 2024 წლის 08 ივლისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ ბრძანებაში არასწორად არის დაფიქსირებული მიწის ნაკვეთის მისამართი და მშენებლობის ვადა. შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2023 წლის 18 მაისს №AR1964435 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე №01.81.02.258.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურმა, იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანებაში მიწის ნაკვეთის მისამართი, მესაკუთრე, საკადასტრო კოდი, საპროექტო ობიექტი და მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა. ამასთან დგინდება, რომ აღნიშნულ განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა საინფორმაციო დაფა, სადაც საპროექტო ობიექტად მითითებულ იქნა სასტუმრო, ხოლო, საკადასტრო კოდად: №01.81.02.258.003. ასევე, ნომენკლატურაში საპროექტო ობიექტი „სასტუმრო“ სწორად მიეთითა.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882022920840; მომზადების თარიღი: 14/12/2022 წ.) საპროექტო ობიექტის მისამართს წარმოადგენს: ქ. თბილისი, სოფელ ტაბახმელა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს - შპს „იორკ თაუნ“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405488486) ხოლო, საკადასტრო კოდს - №01.81.02.258.003.
ასევე, დგინდება, რომ 2023 წლის 18 მაისის №AR1964435 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 08 თვეზე და სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2024 წლის 08 ივლისის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადაც არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, შპს „იორკ თაუნ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.81.02.258.003) სასტუმროს არქიტექტურული პროექტი.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 08 ნოემბრიდან 2024 წლის 08 ივლისის ჩათვლით.“.
2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 08 ნოემბრის №6731014 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.